emc.org.ge

რა შეიცვალა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

რა შეიცვალა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში

შესავალი

იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება ქართული ნარკოპოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა, რომელიც ზედმიწევნით აღწერს მის არაეთიკურ და რეპრესიულ ბუნებას. 2015 წლის ოქტომბრამდე შემოწმებაზე გადაყვანის კონკრეტული საფუძვლები ნორმატიულად არ იყო გაწერილი და სამართალდამცავებს ზოგადი წესით, გონივრული ეჭვის საფუძველზე შეეძლოთ პირის იძულებით შემოწმებაზე გადაყვანა.

2015 წლის ოქტომბრიდან მოქმედებს შინაგან საქმეთა მინისტრის N725 ბრძანება, რომელიც შეეხება იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე პირთა გადაყვანის საფუძვლებსა და პროცედურებს. ბრძანებაზე მუშაობის პროცესში, სამუშაო შეხვედრებისას სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული ბრძანება იყო ადეკვატური და საკმარისი ნაბიჯი, რათა აღმოფხვრილიყო იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებული ძირითადი პრობლემები. სამინისტროს პოზიციას არ იზიარებდნენ ნარკოპოლიტიკაზე მომუშავე ორგანიზაციები და აქტივისტები და ახალ ბრძანებას თავიდანვე არასაკმარისად აფასებდნენ არსებული გამოწვევების ფონზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბრძანების ამოქმედებიდან რამდენიმე თვეში საქართველოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სწორედ „ქუჩის ნარკოტესტირების“ კონსტიტუციურობის თაობაზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს პრობლემის აქტუალურობასა და მნიშვნელობაზე.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ დაინტერესდა, რა შეიცვალა პრაქტიკაში შს მინისტრის #725 ბრძანების ამოქმედების შემდეგ და არსებული ვითარების შესწავლის მიზნით, წინასწარ შედგენილი სტანდარტული კითხვარების გამოყენებით ინტერვიუები ჩაატარა. ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღეს იმ პირებმა, რომლებიც 2015 წლის ოქტომბრის შემდეგ იყვნენ გადაყვანილი იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე (საერთო ჯამში 16 რესპონდენტი). ამდენად, წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული შეფასებები ემყარება ერთი მხრივ ნარკოტესტირების საკითხის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების შეფასებას, მეორე მხრივ კი რესპონდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზს.

პრობლემური მიმართულებები იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმებისას

- *შემოწმებაზე გადაყვანის საფუძვლები და ოპერატიული ინფორმაცია*

იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების (იგივე ქუჩის ნარკოტესტირება) ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა კანონით განსაზღვრული ბუნდოვანი საფუძვლებია, რაც შემდგომში თვითნებობის საშუალებას აძლევს პოლიციას. როგორც აღინიშნა, 2015 წლის ოქტომბრამდე მოქმედებდა ზოგადი წესი და პირთა ტესტირებაზე გადაყვანა ხდებოდა „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, თუმცა თავად გონივრული ეჭვის - როგორც მტკიცებულებითი სტანდარტის, შესამოწმებლად არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი მექანიზმი. შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი „გონივრული ეჭვის“ ისედაც დაბალი სტანდარტი სამართალდამცავთა მხრიდანვე იყო ხშირად უგულებელყოფილი, რა დროსაც შემოწმებაზე გადაყვანა ხდებოდა არა ობიექტური და ნეიტრალურ ინფორმაციისა თუ ფაქტების საფუძველზე (გონივრული ეჭვი სწორედ ამგვარი ინფორმაციას უნდა ემყარებოდეს), არამედ პოლიციელის სუბიექტურ ვარაუდზე დაყრდნობით. ამას ადასტურებს მაშინდელი სტატისტიკური მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანისას, საშუალოდ მხოლოდ ერთი მესამედის შემთხვევაში ფიქსირდებოდა

მოხმარების ფაქტი.[1] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, სამეგრელო-ზემო სვანეთში 2013 წლის პირველ ექვს თვეში 1600-მდე პირი გადაიყვანეს იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, საიდანაც მხოლოდ 130-ს დაუდგინდა მოხმარების ფაქტი,[2] რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რეგიონში ექსპერტიზაზე გადაყვანილ პირთა 90%-ზე მეტს მოხმარების ფაქტი არ დაუდგინდა და მათი გადაყვანა უსაფუძვლოდ განხორციელდა. იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმებების ბოლო წლების სტატისტიკური მაჩვენებელი კი შემდეგნაირად გამოიყურება:



შს მინისტრის ახალი ბრძანებით განისაზღვრა იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის სამი საფუძველი. ესენია: 1) სამართალდამცავთა მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის, ან მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობის დაფიქსირება, 2) პირის მიერ სამართალდამცავის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან მის მიერ მიმალვის განხორციელების მცდელობა და 3) ოპერატიულ-სამძებრო, ან ფარული საგამოძიებო მოქმედებების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია, აგრეთვე „112“-ში შესული შეტყობინება ან უშუალოდ პოლიციელისთვის მიწოდებული ინფორმაცია, რომ პირმა მოიხმარა, ან იმყოფება ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

სწორედ მესამე - ოპერატიული ინფორმაცია - კვლავაც აძლევს სამართალდამცავებს თვითნებობისა და პირის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის შესაძლებლობას. ოპერატიული ინფორმაცია და მის საფუძველზე სხვადასხვა საპოლიციო თუ უფლების შემზღუდავი პროცესუალური ღონისძიების განხორციელება სამართალდამცავი სისტემის და მთლიანად მართლმსაჯულების ზოგადი პრობლემაა. ოპერატიულ ინფორმაციაზე ფაქტობრივად არ ხორციელდება საპროკურორო და სასამართლო კონტროლი, ინფორმაციის მიმწოდებლის

[1] 2007-2012 წლებში იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე საერთო ჯამში 216 215 პირი გადაიყვანეს და მათგან მხოლოდ 78 501-ს დაუდგინდა მოხმარების ფაქტი.
[2] იხ. http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf გვ. 105

დაკითხვა არ ხდება სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე. სასამართლოს ეფექტურად იმის შემოწმებაც კი არ შეუძლია, საერთოდ არსებობდა თუ არა ასეთი ოპერატიული ინფორმაცია.

ჩვენს მიერ გამოკითხული 16 რესპონდენტიდან 11-მა განაცხადა, რომ სამართალდამცავებმა მათ განუმარტეს ექსპერტიზაზე გადაყვანის საფუძვლები, საიდანაც 9 მათგანი სწორედ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე იყო გადაყვანილი. სამწუხაროდ, ოფიციალურად არ ხდება იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების საფუძვლების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველაზე ხშირად სამართალდამცავები სწორედ ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახორციელებენ მოქალაქეთა იძულებით ნარკოტესტირებას.



ოპერატიული ინფორმაციის უტყუარობისა და სანდოობის დაბალ ხარისხზე მიუთითებს ზოგადი სტატისტიკაც. როგორც აღინიშნა, საშუალოდ, ექსპერტიზაზე გადაყვანილ პირთა 2/3-ს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი არ უდგინდება. აღნიშნული მაჩვენებელი ვერც ახალმა ბრძანებამ გააუმჯობესა - შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის პირველ ექვს თვეში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე 14337 პირი იყო წარდგენილი, რომელთაგან მხოლოდ 3849-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების/ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტი, 14-მა კი უარი განაცხადა ექსპერტიზაში მონაწილეობაზე.

დადებითად უნდა შეფასდეს იძულებით ექსპერტიზაზე გადაყვანის რაოდენობის კლება, თუმცა ცალსახად შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ეს შს მინისტრის ბრძანების შედეგია. ნარკოლოგიური შემოწმებების რაოდენობა ისედაც კლებისკენ იყო ორიენტირებული და ამავდროულად,გასათვალისწინებელია წინასაარჩევნო პერიოდიც, რომლის დროსაც, როგორც წესი, სამართალდამცავები თავს იკავებენ პირთა შემოწმებაზე მასიურად გადაყვანისგან.[3] ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის ბრძანების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა გადაყვანილ პირთა შორის მოხმარების ფაქტის დადგენის წილი და საერთო ჯამში, 2016 წლის საწყისი 6 თვის განმავლობაში შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა მხოლოდ 27%-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

[3] წინა საპარლამენტო არჩევნებისას - 2012 წელს, აგრეთვე მნიშვნელოვნად იყო შემცირებული იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, თუმცა მომდევნო წელს აღნიშნული რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზარდა.

- *დაკავება*

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა ადმინისტრაციული დაკავება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ნორმატიულად საკმარისად ნათლად არ არის მოწესრიგებული. კერძოდ, კანონის დონეზე არაა დარეგულირებული, რა ეტაპზე წარმოეშობა სამართალდამცავს იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადასაყვანი პირის დაკავების უფლებამოსილება და რა კონკრეტული ქმედება შეიძლება იყოს დაკავების საფუძველი, აგრეთვე ბუნდოვანია, როდიდან აღარ არსებობს დაკავების საფუძვლები.

საკითხი ნაწილობრივ არის მოწესრიგებული შს მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით, რომლის მიხედვითაც, თუკი პირი უარს აცხადებს იძულებით საექსპერტო დაწესებულებაში ნებაყოფლობით გადაყვანაზე, სამართალდამცავი უფლებამოსილია, გამოიყენოს დაკავება და იძულებით წარადგინოს პირი გამოსაკვლევად.[4] არც ბრძანებით და არც სხვა ნორმატიული აქტით არაა დარეგულირებული ისეთი შემთხვევები, როცა პიროვნება გადაყვანაზე თანახმაა, თუმცა უკვე დაწესებულებაში მისვლის შემდეგ აცხადებს უარს ლაბორატორიულ და კლინიკურ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე. კერძოდ, შესაძლებელია თუ არა ასეთ დროს მისი დაკავება, ან დაყოვნება საექსპერტო დაწესებულებაში. ამავდროულად, ბუნდოვანია, რა იგულისხმება *ნებაყოფლობით* გადაყვანაში და როგორ უნდა წარიმართოს აღნიშნული პროცედურა. კერძოდ, შეუძლია თუ არა პირს, თავისით (მაგალითად, საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით) გამოცხადდეს დაწესებულებაში, მოაგვაროს გადაუდებელი პრობლემები (მაგალითად, თუკი იგი იმყოფება ბავშვთან ერთად, ჯერ მიიყვანოს ბავშვი დანიშნულების ადგილას) და შემდეგ წავიდეს ექსპერტიზაზე.

აღნიშნული საკანონმდებლო ბუნდოვანებები პრაქტიკაში ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ გამოიყენება, რა დროსაც საექსპერტო დაწესებულებაში გადაყვანილი პირის მიმართ, უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენება დაკავება, მიუხედავად იმისა, პირი თანახმაა თუ არა შესაბამის დაწესებულებაში ნებაყოფლობით გამოცხადებაზე. კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაკავება ექსპერტიზაზე გადაყვანის აუცილებელი კომპონენტი არ არის და მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუკი პირი უარს აცხადებს ნებაყოფლობით გადაყვანაზე. ჩვენს მიერ გამოკითხულ პირთაგან ყველა მათგანი აცხადებს, რომ იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმებისას მოხდა მათი დაკავება, თუმცა მხოლოდ 8 შემთხვევაში შედგა დაკავების ოქმი. ამავდროულად, პრობლემურია ისიც, რომ არც ერთი დაკავებული არ იყო გადაყვანილი დროებითი მოთავსების იზოლატორში და მათი დაყოვნება ძირითადად ხდებოდა ნარკოლოგიური ექსპერტიზის დაწესებულებაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში სამსახურებრივ მანქანაში, ან პოლიციის შენობაში.

[4] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის N725 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი.



ნორმატიულ დონეზე არსებული რიგი ბუნდოვანებების მიუხედავად, შს მინისტრის ბრძანებაში კონკრეტულად არის მითითებული, თუ როდის შეუძლიათ პოლიციელებს ადმინისტრაციული წესით დაკავების გამოყენება - პირის მიერ ნებაყოფლობით გადაყვანაზე უარი. ბრძანების აღნიშნული ჩანაწერიდან უნდა დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში დაკავების ერთადერთი მიზანია პირის ნარკოლოგიურ დაწესებულებაში წარდგენა. შესაბამისად, თუკი პირი თანხმდება ნებაყოფლობით გადაყვანას, ხოლო უკვე ექსპერტიზის ბიუროში აცხადებს კლინიკურ და ლაბორატორიულ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე უარს, აღნიშნული უარი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მისი დაკავების სამართლებრივ საფუძველს. აგრეთვე, თუკი პირი თავიდანვე აცხადებს ნებაყოფლობით გადაყვანაზე უარს და ამ საფუძვლით მოხდება მისი დაკავება, შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში წარდგენის მომენტიდან იგი უნდა გათავისუფლდეს, რადგან ამ შემთხვევაშიც დაკავების ერთადერთი მიზანი - პირის ექსპერტიზაზე წარდგენა, მიღწეულია. თუმცა, პრაქტიკაში სრულიად საპირისპირო ვითარებაა და ერთი მხრივ, სამართალდამცავები საწყისი ეტაპიდანვე იყენებენ დაკავებას (მიუხედავად პირის მიერ გამოხატული თანხმობისა თუ წინააღმდეგობისა) და აღნიშნული დაკავება გრძელდება მას შემდეგაც, რაც დაკავებულს წარადგენენ ექსპერტიზის დაწესებულებაში.

- *უფლებების შეზღუდვა და ღირსების შემლახავი მოპყრობა*

გამოკითხვის ფარგლებში არც ერთი რესპოდენტი, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო დაკავება, არ იყო გადაყვანილი დროებითი მოთავსების იზოლატორში და როგორც აღინიშნა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა სამართალდამცავებს დაკავებული ყავდათ ნარკოლოგიური დაწესებულების მოსაცდელში. ამგვარი პრაქტიკა პრობლემურია იმის გამო, რომ ეს დაწესებულებები არ არის გათვლილი პირის ხანგრძლივი დაყოვნებისთვის, არაა აღჭურვილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, არ ხდება პირთა სამედიცინო შემოწმება და ფიზიკური დათვალიერება შესაძლო დაზიანებების თაობაზე. ამავდროულად, დაწესებულებებში არაა დამონტაჟებული შიდა სათვალთვალო მოწყობილობები, რომლებიც დააფიქსირებდა დაკავებულის მიმართ შესაძლო ზეწოლის ფაქტებს. მთლიანობაში კი სამართალდამცავები უხეშად არღვევენ

კანონს, როდესაც დაკავებული პირების მოსაცდელად გამოიყენებენ აღნიშნულ დაწესებულებებს, რადგან ნარკოლოგიური საექსპერტო ბიურო არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიციის, ან სხვა სამართალდამცავ ორგანოდ.[5]

იმ პირობებში, როდესაც იძულებით საექსპერტო დაწესებულებაში გადაყვანილი პირი სამართალდამცავების კონტროლის ქვეშ იმყოფება ისე, რომ თავად ამ კონტროლის ლეგიტიმურობისა და კანონიერების შემოწმება არ ხდება, ხშირია დაკავებულის უფლებების შელახვის ფაქტები. ჩვენს მიერ გამოკითხული ყველა პირი აცხადებს, რომ მის მიმართ განხორციელდა სხვადასხვა უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა:



როგორც ზედა გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე ხშირად სამართალდამცავების მხრიდან დაკავებულებს ეზღუდებათ, მათი დაკავებისა და ადგილსამყოფელის შესახებ ახლობელს შეატყობინონ. განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა შეფასდეს საპირფარეშოთი სარგებლობის აკრძალვა, რაც ერთი მხრივ არის გავრცელებული ტენდენცია, მეორე მხრივ კი აღნიშნული შეზღუდვა შესაძლოა იწვევდეს განსაკუთრებული ხარისხისა და ინტენსივობის ტანჯვას, რადგან შეზღუდვამ შეიძლება 12 საათსაც კი გასტანოს. შესაბამისად, ამგვარი პრაქტიკა რიგ შემთხვევაში შესაძლოა უტოლდებოდეს პატივისა და ღირსების შემლახავ მოპყრობას. ცხადია, უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავთა ისეთი პრაქტიკები, როგორებიცაა: ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, ბორკილებდადებული პირის შენობის გარეთ დაყოვნება, რისი მიზანიც, როგორც წესი, არის პირის იძულება, მონაწილეობა მიიღოს ნარკოლოგიურ ექსპერტიზაში.

[5] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაკავების შემთხვევაში ხშირად არ ფორმდება შესაბამისი ოქმი. გამოკითხულ პირთაგან რვა მათგანმა მიუთითა, რომ მის მიმართ არ შედგა შესაბამისი დაკავების ოქმი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ამგვარი ოქმი დგებოდა არა დაუყოვნებლივ, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ამგვარი პრაქტიკა ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და ერთი მხრივ ზრდის სამართალდამცავთა მხრიდან თვითნებობის რისკებს, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვნად ართულებს ამგვარ თვითნებობაზე ადეკვატურ რეაგირებას.

- *სხვა დარღვევები და გასაჩივრების პროცედურა*

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა დაყოვნების პერიოდი. ჩვენს მიერ გამოკითხული 16 პირიდან 12-მა მიუთითა, რომ კლინიკურ და ლაბორატორიულ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე უარის განცხადების შემდეგ არ მომხდარა მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლება. ცხადია, ნარკოლოგიურ დაწესებულებაში გადაყვანილ პირთა დაყოვნების პერიოდები განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა საგულისხმოა, რომ 12 ასეთი პირიდან სამი მათგანი 11 საათის მანძილზე იყო დაკავებული ექსპერტიზის ბიუროში, ხოლო ერთს მთლიანი 12 საათიანი პერიოდის გატარება მოუწია დაწესებულებაში.



კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ხშირად მიუთითებდნენ პრაქტიკაში, ესაა ერთხელ უკვე გათავისუფლებული პირის მოკლე დროში ხელახალი დაკავება და მისი განმეორებით გადაყვანა იძულებით ექსპერტიზაზე. სხვა პრობლემურ მიმართულებებთან შედარებით, ამ საკითხზე უფრო დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და ჩვენს მიერ გამოკითხულ პირთაგან მხოლოდ ორმა მიუთითა, რომ ისინი ერთხელ შემოწმების შემდეგ მალევე გადაიყვანეს განმეორებით ექსპერტიზაზე.

რაც შეეხება იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების გასაჩივრების მექანიზმებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში პირთა შესამოწმებლად გადაყვანა წარმოებს უსაფუძვლოდ, რასაც თან ახლავს რიგი უფლებების უხეში დარღვევა, სამართალდამცავთა აღნიშნული ქმედებები ძალიან

იშვიათად საჩივრდება შესაბამის უწყებებში. ჩვენ მიერ გამოკითხულმა ყველა პირმა განაცხადა, რომ მათ არ გაუსაჩივრებიათ იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის პროცედურა. ასეთი მდგომარეობა ნიშანდობლივია და შეიძლება მიუთითებს როგორც უფლებების არასაკმარის ცოდნაზე/განმარტებაზე და სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე ზოგად უნდობლობაზე გასაჩივრების მექანიზმის მიმართ.

გასაჩივრების მექანიზმი კანონმდებლობით არ არის საკმარისად ნათლად მოწესრიგებული. შს მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით პირს უფლება ენიჭება, პოლიციის მოსამსახურის ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ან სასამართლოში. დაახლოებით მსგავსი შინაარსის ჩანაწერს შეიცავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონიც.[6] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ზოგადად ადგენს, რომ ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა თუ მათი ჩამორთმევა საჩივრდება ზემდგომ ორგანოში ან პროკურორთან.[7] ასკ-ის აღნიშნული ჩანაწერი რეალურად შეიძლება დამაბრკოლებელი იყოს უფლებების ეფექტურად დაცვისათვის. როგორც აღინიშნა, იძულებით ნარკოტესტირებას მუდამ ახლავს თან დაკავება, ან სხვა ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა: პირადი გასინჯვა, ტელეფონისა თუ სხვა ნივთის ჩამორთმევა და ა.შ. თუმცა, აღნიშნული ქმედებების გასაჩივრება არ ხდება სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიებების ფარგლებში ხდება ძირითადი უფლებების შელახვა. საბოლოოდ კი გამოდის, რომ პირმა მისი შელახული უფლებების გარკვეულ ნაწილზე (იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება) უნდა იდავოს ზემდგომ ორგანოში, ან სასამართლოში, ხოლო დანარჩენ ნაწილზე (დაკავება, ნივთების ჩამორთმევა) პროკურორთან, ან ზემდგომ ორგანოში.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. შესაბამისად, იძულებითი ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად გამოწვეული მატერიალური ან მორალური ზიანის დადგომის მტკიცების ტვირთი თავად ამ პირს ეკისრება. ამ დროს მან უნდა ამტკიცოს, რომ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანით მიადგა კონკრეტული ზიანი. ამავდროულად, თავად საჩივრის ავტორმა უნდა დაასაბუთოს, რომ მისი გადაყვანის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც მოხდებოდა ოპერატიული ინფორმაციის არსებობის, მისი სანდოობისა და ავთენტურობის შემოწმება. საკითხის ამგვარი ბუნდოვანი სამართლებრივი მოწესრიგება საბოლოოდ ისევ მოქალაქეების უფლებებზე ახდენს უარყოფით გავლენას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადად შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ინსპექტირების სამსახური არ სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი ნდობით და სწორედ ამიტომ არის ეფექტური და მკაფიო წესებით გაწერილი გარე (ამ შემთხვევაში სასამართლო) გასაჩივრების მექანიზმის არსებობა.

შეჯამება

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება არის 12 საათიანი შესაძლებლობა სამართალდამცავებისთვის, განახორციელონ კონტროლი კონკრეტულ პირებზე და შეუზღუდონ მათ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. აღნიშნულ მექანიზმზე არსებული შიდა და გარე კონტროლის არაეფექტურობა, ასევე გასაჩივრების მარეგულირებელი ნორმების ბუნდოვანება ფაქტობრივად სამართლებრივი დაცვის გარეშე ტოვებს მოქალაქეს. გარდა საკანონმდებლო ბუნდოვანებებისა და ხარვეზებისა, გასათვალისწინებელია უშუალოდ მექანიზმის ბუნებაც. იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება, როგორც წესი, ტარდება სხვადასხვა უფლების

[6] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[7] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი.

შეზღუდვით, ზოგჯერ ის გამოიყენება ერთი და იმავე პირების მიმართ განმეორებითად, ხოლო უშუალოდ შემოწმებისას ხშირად აქვს ადგილი სამართალდამცავთა თვითნებობის ისეთ გამოვლინებებს, როგორებიცაა: საპირფარეშოთი სარგებლობის აკრძალვა, სამსახურებრივ ავტომანქანაში პირის ხანგრძლივი პერიოდით დაყოვნება, სატელეფონო ზარის განხორციელების უფლების შეზღუდვა და პირადი ნივთების უსაფუძვლო ჩამორთმევა.

მსგავსი პრაქტიკის დასრულებას ვერც შს მინისტრის ახალმა ბრძანებამ შეუწყო ხელი. კვლევის ფარგლებში გამოკითხული 16 პირიდან 9 მათგანმა განაცხადა, რომ ბრძანების შემდგომ ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში, სამმა რესპონდენტმა აღნიშნულ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა. დანარჩენი გამოკითხულები კი ძირითადად საუბრობენ წამებისა და ცემის, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალების „ჩადების“ პრაქტიკის გაქრობაზე. თუმცა, ყველა გამოკითხული მიუთითებს ნარკოტესტირებისას სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებულ სხვადასხვა დარღვევაზე. მსგავსი პრაქტიკების მთავარი მიზანი კი, როგორც წესი, პირის იძულებაა, მონაწილეობა მიიღოს ექპსპერტიზაში. ამავდროულად, ამგვარი მექანიზმი შესაძლოა ემსახურებოდეს პოლიციასთან თანამშრომლობაზე დაყოლიებას, მოქალაქეთა აქტივობის (პოლიტიკური თუ სამოქალაქო) დაბრკოლებას, ან აღკვეთას თუ სხვა კანონგარეშე მიზანს.[8]

იძულებითი ნარკოტესტირების მექანიზმი უკვე დიდი ხანია აღარ ემსახურება თავის ფუნდამენტურ მიზანს - შეამციროს ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და მისი მოხმარებით გამოწვეული ზიანი. ნორმალურ ვითარებაში, იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება გამოიყენება სწორედ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სამართალდამცავები უშუალოდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას შეესწრებიან ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს, ან არსებობს ობიექტური და სარწმუნო ინფორმაცია, რომ პირი ნარკოტიკული თრობის ქვეშ ახორციელებს სხვა საზოგადოებრივი რისკის შემცველ ქმედებას (მაგალითად ავტომანქანის მართვა). ასეთ დროს, ცხადია გამართლებულია პირის უფლებების შეზღუდვა და მის მიმართ კონკრეტული იძულებითი ღონისძიებების განხორციელება, რადგან მეორე მხარეს უფრო მაღალი ლეგიტიმური ინტერესები დგას.

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული ნარკოტესტირების პრაქტიკა არათუ რომელიმე ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი სიკეთის დაცვისკენაა მიმართული, არამედ პირიქით, აღნიშნული მექანიზმი იწვევს ათიათასობით ადამიანის სტიგმატიზაციას, ან უკვე არსებული სტიგმის გაძლიერებას. კითხვარებიდან გამოჩნდა, რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა იყო წარსულში ნასამართლევი, ან ადმინისტრაციულ სახდელდადებული ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის. შესაბამისად, მათი შემოწმებაზე გადაყვანის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველიც სწორედ წარსული კანონთან კონფლიქტია. პოლიციის ამგვარი მიდგომა კი ერთხელ უკვე სასჯელ თუ სახდელმოხდილი პირის მიმართ გამორიცხავს მის რესოციალიზაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილად ჩართვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მთლიანად ახლებურად ჩამოყალიბდეს იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომლის ფარგლებშიც ნათლად განისაზღვრება:

- იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების საფუძვლები, რომელიც დაკავშირებული იქნება ნარკოტიკული საშუალების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოხმარებასთან, ან თრობის ქვეშ მყოფის მიერ სხვა მომეტებული რისკის მქონე ქმედების განხორციელებასთან;
- ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ნებაყოფლობით წარდგენის პროცედურები, რომლებიც პირს მისცემს შესაძლებლობას, საკუთარი პატივისა და ღირსების შელახვის გარეშე, მისივე ინფორმირებული გადაწყვეტილებით მიიღოს ექსპერტიზაში მონაწილეობა;

[8] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC - „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი პოლიციის სისტემაში“. გვ. 69

- პირის ნარკოლოგიურ დაწესებულებაში იძულებით მიყვანის პროცედურები, აგრეთვე მის მიერ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე უარის თანმდევი სამართლებრივი შედეგები;
- პირის იძულებით წარდგენის მიზნით დაკავების გამოყენების კანონისმიერი საფუძვლები, დაკავების საფუძვლების წარმოშობის და გაქარწყლების ეტაპები, რა დროსაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სამართალდამცავთა თვითნებობის რისკები;
- იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების სასამართლო წესით გასაჩივრების მოქნილი და ნათელი პროცედურები, რომელიც მოქალაქეებს საკუთარი უფლებების ეფექტურად დაცვის შესაძლებლობას მისცემს.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ EMC მადლობას უხდის „თეთრი ხმაურის მოძრაობას“, „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელს“ და „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელს“ კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისთვის. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა პირთა გამოკითხვა და კვლევისათვის საჭირო ინტერვიუების ჩაწერა.